საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/185

ქ. ბათუმი 25 ივლისი, 2022 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საფინანსო სერვისები"** დამტკიცდა „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელდა ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 21 სექტემბრის №01-02/124 ბრძანებით, 2021 წლის 12 აპრილის №01-02/57 ბრძანებით, 2021 წლის 20 ოქტომბრის №01-02/182 ბრძანებით, 2021 წლის 10 ნოემბრის №01-02/197 ბრძანებით და 2022 წლის 20 იანვრის №01-02/10 ბრძანებით.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები"** თანახელმძღვანელი ჯილდა აბაშიძე ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის N01-12/23 ბრძანებით დაინიშნა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 წლის 25 ივლისის №836890 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019

წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების №1 დანართში - პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“ **შეიცვალოს:**

1.1. **პროგრამის თავფურცელზე აღნიშნული საკონტაქტო ინფორმაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა) მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, ბ) ვებ-გვერდი: bsu.edu.ge; გ) ელ-ფოსტა: vocational@bsu.edu.ge;

1.2. **პროგრამის თავფურცელიდან ამოღებული იქნეს ჩანაწერი** პროგრამის თანახელმძღვანელის, ფინანსების მაგისტრის ჯილდა აბაშიძის შესახებ.

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის „საფინანსო სერვისები“ თავფურცელი** ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე **თანდართული რედაქციით (დანართი N1).**

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“; ,,რექტორის ბრძანებები“).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** ხელმძღვანელს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის № 01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 ივლისის № 01-02/185 ბრძანების დანართი №1

დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის

2019 წლის 25 ოქტომბრის № 01-02/168 ბრძანებით

(ცვლილებები განხორციელდა შემდეგი ბრძანებებით:
21.09.2020 წ. №01-02/124; 12.04.2021 წ. №01-02/57;
20.10.2021 წ. №01-02/182; 10.11.2021 წ. №01-02/197;
10.01. 2022 წ. №01-02/10)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„საფინანსო სერვისები“

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. 15,

ვებ–გვერდი: bsu.edu.ge

ელ-ფოსტა: vocational@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:

გიორგი აბუსელიძე - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი:

თინათინ ბერიძე - საფინანსო, საბანკო და სადაზღვეო საქმის მაგისტრი